# ხელშეკრულება

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს "SAYALI"-ის შორის 2011 წლის 26 დეკემბერს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**საქართველო, ქ. თბილისი** **22 აპრილი, 2015 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (*შემდეგში*, „გამყიდველი"), წარმოდგენილი სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურიდიული მრჩევლის, თათა ერქვანიას (პ/№29001013713) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2014 წლის 09 ივნისს გაცემული №4/20805 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **შპს "SAYALI"** (ს/კ №406057804) წარმოდგენილი მისი დირექტორის, მამედ სულეიმანოვის (პ/№01008004191) სახით, (*შემდეგში*, მყიდველი"), ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე",

ვხელმძღვანელობთ რა, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „SAYALI"-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის N15/12/06 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს "SAYALI"-ს მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N1959 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შპს „SAYALI"-ს მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის N452 განკარგულებით (შემდგომ - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის N452 განკარგულება), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს "SAYALI"-ის შორის 2011 წლის 26 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებითა (შემდეგში - ნასყიდობის ხელშეკრულება) და „ნასყიდობის ხელშეკრულებაში" 2014 წლის 5 მარტს განხორციელებული ცვლილების ხელშეკრულებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1.

„ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 3.1.4. მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1.4. პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, „მყიდველი“ ვალდებულია „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 3.1.2. და 3.1.3. მუხლებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 12 000 000 (თორმეტი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიცია 2017 წლის 1 იანვრამდე შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ა) 2011 წლის 26 დეკემბრიდან - 2015 წლის 1 იანვრამდე - 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი;

ბ) 2011 წლის 26 დეკემბრიდან - 2017 წლის 1 იანვრამდე - 12 000 000 (თორმეტი მილიონი) აშშ დოლარი“.

ბ) ამოღებულ იქნეს „ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ 2014 წლის 05 მარტს დადებული ცვლილების ხელშეკრულების მე-2 მუხლი.

## მუხლი 2.

2.1. „მყიდველმა“ „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 3.1.2, 3.1.3 და 3.1.4 მუხლებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, კანონით დადგენილი წესით, „გამყიდველს“ წარმოუდგინა სს „პაშა ბანკი საქართველოს“ (ს/N404433671) მიერ გაცემული 2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი არანკლებ 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია (სააგენტოში რეგისტრაციის N66198/04, 12.12.2014) (*შემდეგში,* „საბანკო გარანტია“) და შეტყობინება (სააგენტოში რეგისტრაციის N31823/04, 21.04.2015) „საბანკო გარანტიით“ განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის N452

განკარგულებით განხორციელებული საპრივატიზებო პირობების ცვლილებების გათვალისწინებით.

2.2. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ მოშლის შემთხვევაში 2.1. მუხლით გათვალისწინებული საბანკო გარანტია „გამყიდველის“ მოთხოვნისთანავე სრულად ჩაირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.

**მუხლი 3.**

„მყიდველის“ მიერ 19.02.2015 წლის N05 წერილით (სააგენტოში რეგისტრაციის N12954/04, 19.02.2015) „გამყიდველისთვის“ წარმოდგენილ იქნა მესამე პირების - The Overseas Private Investment Corporation „OPIC“-ის (უცხოური კერძო ინვესტიციების კორპორაცია) და LLC „American Hospital Management Company“-ის (ამერიკული საავადმყოფოების მენეჯმენტის კომპანია) მხრიდან „ნასყიდობის ხელშეკრულებით“ დადგენილი საპრივატიზებო პირობების შესრულების პროცესში თანამონაწილეობასა და აღნიშნული მიზნით, შპს „SAYALI“-თან თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტაცია.

**მუხლი 4.**

„მყიდველი“ გათავისუფლდება „ნასყიდობის ხელშეკრულების“ საფუძველზე ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან იმ პირობით, რომ იგი ჯეროვნად შეასრულებს „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 3.1.2, 3.1.3 და 3.1.4 მუხლებით გათვალისწინებულ საპრივატიზებო პირობებს. შესაბამისად, „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 3.1.2, 3.1.3 და 3.1.4 მუხლებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მყიდველი“ აგრეთვე ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლო.

**მუხლი 5.**

5.1. „ნასყიდობი ხელშეკრულებაში“ შესული ცვლილებები არ ცვლის „ხელშეკრულების“ სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლებით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეები რჩება უცვლელი.

5.2. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ განხორციელებული ცვლილებები და დამატებები მიიჩნევა „ხელშეკრულების“ შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება „ხელშეკრულების“ განმარტების დროს.

5.3. „ნასყიდობის ხელშეკრულება“ ძალაშია მხარეთა ხელმოწერისა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (*შემდეგში* - საჯარო რეესტრი) რეგისტრაციის მომენტიდან.

5.4. „მყიდველი“ ვალდებულია დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულების „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის ხარჯი.

5.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ „მხარეებს“ და „საჯარო რეესტრს“.

**„გამყიდველი“**
**სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო**
წარმომადგენელი:

თათა ერქვანია

**„მყიდველი“**
**შპს “SAYALI“**
წარმომადგენელი:

მამედ სულეიმანოვი